



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/02

ქ. თბილისი

16 მარტი 2022

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისათვის
2 წლის ვადით სტუ-ის ქონების სარგებლობის
უფლებით გადაცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი), კარლო კოპალიანის 2022 წლის 28 თებერვლის №0000205921 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2022 წლის 16 მარტის №01-06-02/01 ოქმის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) გამოკითხვის წესით დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (კანცლერი), კანონით დადგენილი წესით, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1-ელი ოქტომბრის №302 დადგენილების შესაბამისად გადასცეს სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს, 2 წლის ვადით, სარგებლობის უფლებით, სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული, ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქ. №5-ში მდებარე შენობის (ს/კ 01.14.05. 007.073) მე-6 სართულის N1, N2, N3, N4, N5; N10, N11, N12, N13, N14, N15, N16, N17, N18 ოთახები;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი


ჯემალ გაბოვიძე